საქმე №330210115001056103

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქმე №ას-664-635-2016 **9 სექტემბერი, 2016 წელი,**
ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორები - ლევან ყარამანიშვილი, გიორგი ყარამანიშვილი, შპს "ტელეკომპანია საქართველო", ნინო ნიჟარაძე, შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" (მოპასუხეები)

მოწინააღმდეგე მხარეები - ქიბარ ხალვაში, შპს „პანორამა“ (მოსარჩელეები)

ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილისა და შპს "ტელეკომპანია საქართველოს" მიერ გასაჩივრებული განჩინებები – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და

I. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განკარგულებები (საოქმო განჩინებები):

1. 2016 წლის 13 მაისის სხდომაზე ნიკა გვარამიას 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო

ფაილი, 010, 30:25-ზე);

2. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე თამთა მურადაშვილის 300 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის აუდიო ოქმი, ფაილი 001, 29:02-ზე);
3. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე დიმიტრი ძაგნიძის 100 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის აუდიო ოქმი, ფაილი 001, 32:24-ზე);
4. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე დიმიტრი საძაგლიშვილის 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 005, 02:51-ზე);
5. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე ზაზა ბიბილაშვილის 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 17:50-ზე);
6. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე დიმიტრი ძაგნიძის 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 24:25-ზე);

II. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა პროცესზე მხარეთა დაშვების თაობაზე:

1. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე ნიკა გვარამიას დაშვების შესახებ შუამდგომლობის მოხსნის თაობაზე (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 10:30-ზე);
2. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე მხარის წარმომადგენლების: თამთა მურადაშვილის, ნიკა გვარამიას, დიმიტრი საძაგლიშვილის დაშვების შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 08:05-ზე);

III. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო განჩინებები:

1. 2016 წლის 31 მაისს სხდომის დარბაზიდან ნიკა გვარამიას გაძევების შესახებ (2016 წლის 31 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 010, 09:08-ზე;
2. 2016 წლის 3 ივნისს სხდომის დარბაზიდან თამთა მურადაშვილის გაძევების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 005, 7:50-ზე);
3. 2016 წლის 3 ივნისს სხდომის დარბაზიდან დიმიტრი საძაგლიშვილის გაძევების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, ფაილი 005,

11:10-ზე)

IV. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა და მოიხსნა შუამდგომლობები, კერძოდ:

1. 2016 წლის 27 აპრილის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის, ნათია გუჯაბიძის აცილების თაობაზე (ტომი 7, ს.ფ. 385);
2. 2016 წლის 13 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის, ნიკა გვარამიას შუამდგომლობა სხდომის თავმჯდომარის აცილების შესახებ (2016 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 025, 0:11-ზე);
3. 2016 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის განმხილველი კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილების თაობაზე (ტომი 7, ს.ფ. 477(1));
4. 2016 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნიკა გვარამიას შუამდგომლობა კოლეგიის თავმჯდომარის აცილების თაობაზე (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 037, 0:10-ზე);
5. 2016 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნიკა გვარამიას შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 055, 0:01-ზე);
6. 2016 წლის 7 ივნისის განჩინება, რომლითაც მოიხსნა შუამდგომლობა მოსამართლე ნათია გუჯაბიძის აცილების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 22:35-ზე);
7. 2016 წლის 10 ივნისის განჩინება, რომლითაც განუხილველად დარჩა შუამდგომლობა მოსამართლე შორენა ყაველაშვილის აცილების შესახებ (2016 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 1:10-ზე).

ნინო ნიჟარაძისა და შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიერ გასაჩივრებული განჩინება - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება

ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილისა და შპს "ტელეკომპანია საქართველოს" მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების სრულად გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად

ნინო ნიჟარაძის მოთხოვნა - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინება სრულად და უარი ეთქვას

პირვანდელ მოსარჩელეებს - ქიბარ ხალვაშსა და შპს „პანორამას“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე

შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიმართ ქიბარ ხალვაშის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა

დავის საგანი – ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლების რეალიზება და აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების ბათილობა და საკუთრების დაბრუნება

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, 7.2-ე მუხლით, 257 - ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე, 372-ე მუხლებით, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 401-ე, 408-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილის, შპს "ტელეკომპანია საქართველოს", ნინო ნიჟარაძის, შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. საკასაციო საჩივრებს საკასაციო სასამართლო არსებითად განიხილავს, ზეპირი მოსმენის გარეშე, პალატის იგივე შემადგენლობით.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

მოსამართლეები: პაატა ქათამაძე

ბესარიონ ალავიძე